





საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ნორჩ ნატურალისტთა პავილიონი





6. შაილიძე

მ თ ა ხ ი

ნახატები მ. არინიშვილისა

თბილისის მახლობლად, მწვანეში ჩაფლულ სოფელ ვაშლივანში მგზავრი შორიდანვე შეამჩნევს მადლობზე გადმოდგარ ლამაზაიენიან სახლს. ეზოში ბავშვების ხელით კარგად მოვლილი ყვავილნარი, ხეხილის ბაღი და ბოსტანი არის. ამ საბავშვო სახლში ბავშვებს აქვთ ნათელი სამეცადინო ოთახები, სუფთა საწოლები, პიონერთა ოთახი, სახელოსნოები და მრავალგვარი გასართობი.

აქ გაიზარდნენ და დამეგობრდნენ ქართველი, რუსი, უკრაინელი, სომეხი, ოსი და აზერბაიჯანელი გოგონები და ბიჭუნები; ისინი დაამეგობრა მასწავლებელთა მშობლიურმა მზრუნველობამ, მოგზაურობებმა, პიონერულმა შეკრებებმა და საინტერესო ექსკურსიებმა.

აქ ყველა ბავშვი მოწადინებით სწავლობს. ძმებს ნოშრევან და რუსლან ტოლსტოებს მამა აღრე მოუყვდათ, ხო-

ლო დედა ავადმყოფი ჰყავდათ; ეს ბავშვები უკვე რამდენიმე წელია აქ იზრდებიან და სკოლაში ხუთებზე სწავლობენ. ნათელა ნიადაქ ათ წელზე მეტია, რაც ამ საბავშვო სახლში იზრდება. მამა სამამულო ომში დაეღუბა, დედა კი გარდაეცვალა. ნათელაც ხუთოსანია, — ბავშვთა საბჭოს თავმჯდომარეა.

ოსი ბიჭუნსასოლანი 4 წლისა იყო, საბავშვო სახლში რომ მოიყვანეს. სოსლანს ძალიან უყვარს წიგნის კითხვა. პირველი კლასიდანვე ხუთებზე სწავლობს და ქაღრაქსაც კარგად თამაშობს. სოსლანი გატაცებით ოცნებობს თვითმფრინავის მართვაზე.





დიღებები მერიმ მა-  
შინვე საბავშვო სახ-  
ლის აღმზრდელებსა  
და ბავშვებს გაუზიარა  
წერილით.

ლამარა სამანიშვილს  
ძალიან მოსწონდა სა-  
ყვარელი აღმზრდელე-  
ბის ძია არჩილის და  
დეიდა თამარის პრ-

ფესია და გადასწყვიტა მასწავლებელი  
გამოსულიყო. მან ჰედაგოგიური სასწავ-  
ლებელი დაამთავრა, თავის მშობლიურ  
საბავშვო სახლს მიაშურა და ახლა უფ-  
როს პიონერხელმძღვანელად მუშაობს.

აქ აღზრდილები არ ივიწყებენ თავის  
დიდ ოჯახს, ზმირად ნახულობენ მას და  
წერილსაც სწერენ. ამ საბავშვო სახლში  
აღზრდილი გიული ნიავაძე რუსთავიდან  
სწერს თავის ყოფილ მასწავლებლებს:  
„ძია არჩილ, აღმზრდელეობა, დიდ მდ-  
ლობას გიხდით. ვინც ჩემთან ერთად  
იზრდებოდნენ ვაშლოვანში, ახლა ყვე-  
ლა მუშაობს. მიხარია, რომ ჩემი დიკო  
ნათელაც თქვენთან იზრდება...“

ვაშლოვანის საბავშვო სახლში გატა-  
რებული დრო ყოველი მათგანისათვის  
დაუვიწყარია. ეს ოჯახი კვლავ მრავალ  
შრომისმოყვარე ახალგაზრდას გაუზრდის  
ჩვენს სამშობლოს.

ამ ბავშვებს შრომაც უყვართ. მიასნიკ  
ქერაპოვს ზმირად ნახათ ნორჩ ნატუ-  
რალისტთა წრის საცდელ ნაკვეთზე. იგი  
ბარავს, მცენარეებს უვლის. მიასნიკი  
საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამო-  
ფენის ნორჩი მონაწილეა. მის მკერდს  
ამშვენებს „სასოფლო-სამეურნეო გამო-  
ფენის მონაწილის“ მედალი.

ნოშრევენი მიასნიკის კარგი მეგობა-  
რია. ნოშრევენი შარშან აპრილში დარ-  
გო პამიდორის ჩითილები, რომლებმაც  
უხვად მოისხეს ნაყოფი. ნოშრევენი და  
მიასნიკი თავის საყვარელ საქმიანობას  
წელსაც განაგრძობენ.

სომეხი გოგონა ოფელია და აზერბაი-  
ჯანელი გვილალი ძია გოგლას წიწილე-  
ბის მოვლაში ეხმარებიან; ხოლო თამარ  
დათუაშვილი და ნატალია პოპოვა ხბო-  
რებს ზრდიან. ბევრი, ძალიან ბევრი  
ბეჯითი ბავშვია ამ სახლში.

ვაშლოვანის საბავშვო სახლში აღზრ-  
დილი გოგონები და ჭაბუკები ფაბრი-  
კებსა და ქარხნებში მუშაობენ, უმაღლეს  
სასწავლებლებში სწავლობენ. ვახტანგ  
აღნიაშვილი და ვიკი ხერხეულიძე ქუ-  
თათის საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში  
წარჩინებით სწავლობენ. საბავშვო სახლ-  
მა ამ სკოლის ხელმძღვანელებისაგან  
მადლობაც კი მიიღო ასეთი კარგი ჭა-  
ბუკების აღზრდისათვის.

აქ აღზრდილი მერი მაკიევა კარგად  
მღერის. იგი მოსკოვში იყო შრომითი  
რეზერვების სასწავლებელთა საკავშირო  
ოლიმპიადაზე. ჩვენს სამშობლოს დედა-  
ქალაქში ყოფნისას მიღებული შთაბეჭ-






# ყანაბისაკენ

## ა. აბულაშვილი

სოფელი მინდვრად გავიდა,  
გამართეს კალო-საბძელი.  
ყანებისაკენ გავწიეთ,  
უსაქმოდ ველარ გავძელით.  
კვლავ პატარები როდი ვართ  
ის ცეროდენა ბიჭები,  
როცა მინდორში ყოფნისას  
მარტო პეპელას ვიჭერდით.  
ველებს მოვედეთ სიმღერით  
და მზე გვაცხუნებს ცხრათვალი.  
უკან გავყვებით კომბაინს,  
უნდა ავკრიფოთ თავთავი.



## წერილი



ლ. სულაბაძე

ნახატები შ. შხალაძისა

რა კარგია სოფელი,  
რა კარგია ბებია,  
მთელი სოფლის ბავშვები  
ჩემი მეგობრებია.

ყველა ერთად ვთამაშობთ,  
და-მმეზივით მხვდებიან.  
იცი, დედა, ისინიც  
პირველკლასელებია.

ხან ატმებზე დავცოცავთ,  
ხან დღელი გვსურს, ხან ვაში...

ხანაც ჩრდილში დავსხდებით,  
„დედაენას“ გადავშლით.

უცებ მომაგონდებით,  
ვეტყვი ხოლმე ბებიას:  
— დედიკო და მამიკო  
ძლიერ მენატრებიან.

— მოვლენ. ჩამოვიტანენ  
წიგნებსა და ზიზიღებს.—  
ასე მეტყვის ბებიკო  
და მეც მშვიდად ვიძინებ.

# სპიდეები

ბირის უღაბში, ტროპიკულ ტყეებში ტყის ძვირფასი ხეები ხარობს. ტყის ხეს სიმაგრით არც ერთი ხე არა სჯობია. ამ ხისაგან ხომალდებსა და ვაგონებს აგებენ. ტყის ხეები ჯგუფ-ჯგუფად არ იზრდებიან, ტყეში სხვადასხვა ადგილის არის გაფანტული; ამ ხეებს ჯერ ჰერს ჩაჭრიან ღრმად და უცდიან, სანამ არ გახშება. თუ ასე არ მოქმედებენ და ნედლი ხე მოჭრეს, გადატანისას წყალში ჩაიძირება. მოჭრილ ხეებს მდინარესთან ჩაზიდვენ, წყალში ჩაყრიან, მდინარე კი ექამდე ჩაიტანს, სადაც ამ ხეებს ჰყიდიან.



ზოგი ხარბი პლანტატორი ტყის ნორჩ ხეებს ჰჭრის, რომ ჩუშად გაჰყიდოს და ჯიბე გაისქელოს. მოჭრილ ხეებს მდინარისკენ მოშინაურებული სპიდეები ეზიდებიან; თუ ხეებმა მღირე ჩახერგა, ჩახერგვილ ადგილსაც სპიდეები სწეწნიდნენ. შეტად მძიმე და დამაქანცველია მათი შრომა. რამდენიმე კოლომეტრზე მიათრევენ ტყის მძიმე ხეებს ხან ხორთუმით, ხან ფეხებით, ხან კი თავითაც მიაგორებენ ხოლმე.

ერთ მივარდნილ უღრან ტყეში ერთმა კოლონიზატორმა ნორჩი ტყის ხეების მოჭრას დაიწყო ხელი. აქ ვერაფერს დამინახავსო. დღედაღამ ეზიდებოდნენ მისი სპიდეები ხეებს. პლანტატორი ძლიერ ჩქარობდა და, ვიდრე მდინარე მოიღიდებოდა იყო, ხეების გამოხიდვას შეუდგა.

ერთ დღისა მასთან სპიდეები ზედამხედველმა მობრძინა და უთხრა:

— ბატონო, გარეული სპიდეები მოგვადგენ, ჩვენი სპიდეებს დაჰყებებიან

და მათ მუშაობას შესტკერიან.

— არ გარეკით, — ბრძანა ინგლისელმა ბატონმა, — თუ გააჯავრეთ, დიდ ზიანს მოგვაყვებენ და საქმესაც ჩაგვიშლიან. შორიანდ უუერეთ და, რასაც ჩაიდენენ, მომასწავნეთ.

გარეული სპიდეები უკან დაჰყებოდნენ შინაურ სპიდეებს; თითქოს უცარიდათ, რად ათრევენ და აგორებენ ამ ტყეში მოჭრილ ხეებსო. ხალხს კი ზედაც არ უუერებდნენ.

ასე გადიოდა დღეები. ბოლოს ინგლისელ ბატონს საოცარი ამბავი მოუტანა ზედამხედველმა: აი, უკვე რამდენიმე დღეა, რაც გარეული სპიდეები შინაურებს ეხმარებიან და მათთან ერთად მორეებს ეზიდებიანო.

ინგლისელი ბატონი სიხარულით ცას ეწია. აბა რა! მუქთად იშრება ამდენი სპიდეო, ხეებსაც უფრო მეტს მოჭრის

და ვამოიტანს. ზოლო როცა საქმეს მოათავებს, ამ გარეულ სპიდეებსაც გაჰყიდოს და ფულს მოიკავებს.

ზედამხედველის ნაამბობი მართალი გამოდგა. გარეული სპიდეები ქშენითა და ფრუტუნით მიათრევენ ხეებს მოშინაურებულ სპიდეებთან ერთად. ერთ-ერთად, რომ ძალიან უმძიმდით ეს საქმე.

სპიდეების გამყოფები და ზედამხედველები მალე მიეჩივნენ ცნობისმოყვარე და დაუზარელ გარეულ სპიდეებს და ისევე უუკირდნენ და სცემდნენ მათ, როგორც შინაურ სპიდეებს.

ერთხელ ინგლისელი ბატონი წავიდა იმ ტყეში, სადაც გარეული და შინაური სპიდეები მუშაობდნენ. მაგრამ იქ აღარაფერს დახვდა.

ინგლისელ ბატონს ძლიერ გაუტყირდა: სად გაქრნენ ადამიანები და ცხოველები?! მოჭრილი ტყის ხეები აქეთ-იქით ვეცაო. სინამდის არღვევდა ათასნაირი ჩიტების ერთამული და მაიმუნების კუივილი, რომლებიც ტოტებზე დახტოდნენ და ინგლისელ ბატონს კაკლას და რტოებს ესროდნენ.

საღამო ხანს დაქანცული და ოფლში


გაღვრილი ზედამხედველები მოვიარდნენ და ბატონს მოახსენეს: სპიდეები გავექტენო.

— რაო, სპიდეები გაიქტენენ? — აყვარდა ინგლისელი, — გარეულები თუ წავიდნენ, შინაურებს რაღა დაემართათ?

— ჩვენებიც იმათ გაჰყვნენ: ერთად შეგვეუღუნენ და ტყეში წავიდნენ. გამოვეუღდექით, ვეინდოდა, ძალით მოგვებრუნებინა, მაგრამ ხორათუმებთ გცემდნენ და ფეხებით გვაშინებდნენ, თუ თავს არ დაგვანებებთ, გავთლავითო.

— რატომ? — იკითხა თავზარდაცემულმა ბატონმა.

— გარეულმა სპიდეებმა გაიყოლეს, — თქვა მოხუცმა ზედამხედველმა, — მე მგათ კარგად ვიცნობ. ეს მეორე შემთხვევაა ჩემს სიცოცხლეში. ასევე მოხდა ოცდაათი წლის წინათ: გარეული სპიდეები იმობტამ მოვიდნენ, რომ შინაური სპიდეების ცხოვრება ენახათ. ჯერ მათთან ერთად წაიმუშავეს, მაგრამ მერე დილიდან საღამომდე მორბების თრევის ტყეში ლაღად ცხოვრება ამჯობინეს. ჩვენი სპიდეებიც დაიყოლეს, მუშაობას თავი დაანებეთო.





— ახლავე დააბრუნეთ უკან! თავს დაესხით მაგ მემამბოხეებს! ის გარეუ-

ლი სპილოები დახოცეთ!— ყვიროდა ინგლისელი ბატონი.  
— იმათ ვეღარ დაეწვეით, — თავი გააქნია ზედამხედველმა, — მიატოვეს ჩვენი მხარე. შინაური სპილოები ახლა აღარ იმუშავენ. ან რად უნდა მობრუნდნენ? ტყეში ისედაც მშვენიერად გრძნობენ თავს.

ინგლისელმა ბატონმა გაბრაზებით გადახედა უკანონოდ მოჭრილ ნედლ ხეებს. ირგვლივ სიჩუმე იდგა. მხოლოდ საღლაც შორს მდინარე ჩხრალებდა და ჩიტებისა და მაიმუნების ჩხუბის ხმა გაისმოდა.

გაქცეული სპილოები კი ლალად მიაბიჯებდნენ მშობლიური ტროპიკული ტყეების სიღრმეში.

თარგმანი ელ. ჭავჭავაძისა



# ი ს ვ ე ნ ე ზ ს



პრისკო პოიკო

ნახატი გ. თოთიბაძის

(უკრაინულიდან)

ტრამვაი ხალხით სავსეა, გივი დამჯდარა ამაყად, მის წინ ფეხზე დგას ხელოვანობით მოხუცი წვერებქალარა.

ეტყვიან: — ადექ, ბიჭიკო! — და უკვირთ, როგორ იქცევა. — განა ტყუილად გასწავლეს უფროსის პატივისცემა?

— მერე რა! არადადეგების დღეებია და ვისვენებ! — სწავლას დაიწყებს გივი და ზრდილობას კვლავ გაიხსენებს.



თ. ჩხაიძე

ნახატები შ. მხალაძისა

### დედის დარაჯები

იმ დღეს დედამ ცისოს ახალი კაბა ჩააცვა, ჭრელი ბანტიც გაუკეთა.

— იპ, იპ, რა ლამაზია! — უხაროდა ცისოს.

— აბა, შენ იცი, თუ ჭკუით იქნები! — უთხრა დედამ.

მაგრამ ცისო ჭკუით ვერ მოიქცა: მოდი, ტასოსთან წავალ, კაბას ვაჩვენებო, — წასძლია სულმა და გზას გაუდგა.

განა შორს ცხოვრობდა ტასო? — იქვე, ეზოს გადაღმა.

იპარება ცისო ქიშკრისაყენ ფრთხილად, ფრთხილად... მიიხედ-მოიხედა, აი-ვანზე დედა არა ჩანს. იარა, იარა, ეზო გაიარა. მიადგა ქიშკარს და ხელი ჰკრა.

— ჰრ-ჰრ-ჰრ, მოიხედეო. — გასძახა ქიშკარმა დედას.

გაიხედა დედამ, დააბრუნა ცისო და უთხრა:

— არსად არ წახვიდე!

— არა, დედა, არ წავალ! — შეპირდა ცისო. მართლაც არ ფიქრობდა წასვლას. ისე გაერთო თამაშით.

ზუ-ზუ-ზუ — აბზუებდა ბზრიალას, მაგრამ, როცა დედოფალა თებრო აიყვანა ხელში, ისევ ტასო მოაგონდა და გაუდგა გზას. ის იყო ბედელს მოუარა, მიადგა ღობეზე გადასასვლელს, რომ უცებ თეთრი ბატი გამოუდგა.

— ს-ს-საით მიდიხარ? — შესისინა და ნისკარტი კაბის კალთაში ჩააგლო.

გაიგონა დედამ სისინი და გააშველა

ისინი. საით იპარებოდითო. გაუჯავრდა ცისოს.

— არა, დედიკო, არ წავალ! — შეპირდა ცისო. არც აპირებდა წასვლას; ახტუნებდა ბურთს. ატრიალებდა ბზრიალას, ასეირნებდა დედოფალა თებროს, მაგრამ, როცა სადილოდ დასვა და ჩამჩა აიღო ხელში, ისევ ტასო მოაგონდა. ტასოს ხომ თეთრი ქვაბი აქვს, იმით ჩიხირთმას მოგვართმევსო, და გზას გაუდგა.

უცებ ცისოსაყენ მურია გამოქანდა. ჰამ-ჰამ-ჰამ, ამ წუთშივე ვეტყვი დედასაო.

მოირბინა დედამ და ცისო ისევ შინ დააბრუნა.

ველარ ბედავდა ცისო გაპარვას. წინ — ქიშკარი, მარცხნივ — ბატი, მარჯვნივ მურა დარაჯობს!

ცისომ ჯერ ქრიქინა ქიშკარს გახედა, მერე მახეზლარა ბატს, ბოლოს ორგულ მურიას: შემდეგ გაქანდა დედისაყენ. და სთხოვა:

— ტასოსთან რომ წავიდე, შეიძლება?

— შეიძლება! — უთხრა დედამ, — თავიდან ასე გეტყვა, არა სჯობდა?

აიყვანა ცისომ თებრო. ბზრიალაც თან გაიყოლა, ბურთიც და ჩამჩაც. თან დედას შეეკითხა:

— ქიშკარი, ბატი და მურია შენი დარაჯებია?

ახლა თამამად მიდის ცისო, მაგრამ მაინც ქიშკარს, ბატს და მურიას ჩუმად ეუბნება: დედამ თქვა, შეიძლებაო.





# მეხანძრეები

ქარია და დღეს ხანძარი  
საშიშია, რა თქმა უნდა.  
— წყრ-რრრ! წყრ-რრრ!—აი, ავერ,  
ტელეფონიც ახმაურდა.



— ალლო, გისმენთ! დიახ, დიახ,  
ეს სახანძრო რაზმი არის.  
— გთხოვთ, საჩქაროდ მოგვეშველით,  
ხანძრისაგან დაეხიანდით!

დღის მორიგემ რაზმს აცნობა.  
საწყობს ცეცხლი გასტენია:  
განგაშია, იჩქარიან,  
დაყოვნება არ სწევდით.

უფროსის ხმამ დაიქუქა:  
— რაზმელებო, აბა, სმენა!—  
აქ მანქანაც აგუგუნდა,  
ქუჩა სწრაფად გადასერა.


ვერაფერი შეაჩერებს,  
ისე შიშქრის გაქანებით.  
აეტობუსი სვლას ანელებს,  
გაზს უთმობენ მანქანებით.

გზაზე არსად შეჩერდება,  
მოწინავე რაზმი არის!  
უფროსი ჰყავს მეტად მარჯვე,  
გულადი და სახრიანი.



მეხანძრეა გამოცდილი,  
არ აშინებს ცეცხლის ალი.  
ისე სწრაფად შირბი-შორბის,  
გეგონებათ ვერცხლის წყალი.

შუა ცეცხლში შეიჭრება,  
კვლავ გამოევა ისევ წინა.



მზეზე მისი რკინის ქუდი  
როგორც ცეცხლი ისე ბრწყინავს.

აღმოდებულ შენობის წინ  
ერთი აურხაურია,  
აბა, რაზმიც გამოცაღდა,  
სამ წუთს არც ეი გუუვდა.

უფროსი და მცვეშირე  
დასაზვერად გამოზრბიან.  
რაზმელებიც ტროლელებენ,  
ჩიტის ფრთებიც გამომზიან.

ონკანს სწრაფად შეუფრთეს  
წყლის შემწოვი სახელური,  
კოკებიდან გადმოშალეს,  
გუნდა-გუნდად დახვეული.



ასეთ ქარში მუშაობა  
ყველამ იცის, რა მწელია,  
რაზმელებიც ყოველ წუთში  
აღმა-დაღმა დაძვრებიან.

მაღალ კედლებს მიაყუდეს  
გრძელი, გრძელი კბეები,  
ძალ-ღონეს არ იშურებენ,  
საქმე ვლით კიდევ ბევრი.

წყლის ნაჯიდი ყოველ მხარეს  
შადრევენებად დაიღვარა,  
ცეცხლი ჩაქრა, ვერ ბოობოქროს,—  
წყალითან ბრძოლით დაიღალა.




რა ყოჩაღი რაზმი არის,  
კულს ვინ იტყვის, აბა, მათზე.  
მანქანა კვლავ აგუგუნდა  
და დაეშვა თავდაღმართზე.

... განა მართლა ცეცხლი იყო  
და ან ქარი შხიან დღეში!  
ბავშვთა რაზმი ვარჯიშობდა  
პიონერთა სასახლეში.

რაზმელების სიმამაცეს  
დასასრული აღარ უჩანს,  
ხუმრობაა! ასეთ ქარში  
სახლი დაწვას გადურჩა!





მ. შანიშვილი

თბილისის ბავშვთა რკინიგზის სადგურისაკენ ქმნით დაიძრა პატარა ორთქლმავალი. მას მწყობრად მისდევენ პრილა ვაგონები. მატარებელი სადგურს უახლოვდება და ბაქანზე მომლოდინე ნორჩ მგზავრებს მოუთმენლობა ეტყობათ; ისე ეჩვენებათ, თითქოს დიდხანია უკვე მატარებელს უსდებიანო.

ბავშვთა რკინიგზას სულ სამი სადგური აქვს: „შპირი“, „პიონერი“ და „სიხარული“. მაგრამ ნუ გგონიათ, რომ მატარებელს პატარა მანძილი აქვს გასადგეული და მემანქანეს, სადგურის უფროსს ან კონდუქტორებს ცოტა საქმე უჭირათ. ნურც ის გეფიქრებათ, რომ ისინი თქვენზე სულ ცოტათი უფროსები არიან და მატარებლის მომსახურება არ შეუძლიათ. თქვენოდენა როცა იყვნენ, ახლათ, იმათაც ზმირად უთამაშოთ მატარებლობა: სკამები სკამებზე მიუდგამთ, უმცროსი დაძმები დაუსვამთ და თვითონ მემანქანეობა უკის-

## ჩ ვ ე ნ ი

რიათ. მაგრამ როცა წამოიხარდნენ, შეისწავლეს ეს საქმე და ახლა თამამად მოაგრილობენ იმ პატარა ორთქლმავალს, რომელსაც თქვენ ასე მოუთმენლად ეღიფთ სადგურზე.

შებეთ, რამდენი ვაგონი მოჰყვება ორთქლმავალს! ზოგი ღიაა, ზოგი კი დახურული. პატარა კონდუქტორები მაირაღებს აფრიალებენ და პატარა მემანქანესაც თავი გამოუყვია ორთქლმავლის სარკმლიდან. აი, ის ბიჭი, წითელი ქუდი რომ ახურავს და დინჯად რომ დგას სადგურის ბაქანზე, სადგურის უფროსია. თქვენ მას პატივისცემით უნდა მოეყურათ და დუჯეროთ, რადგან მეტად სერიოზული საქმე აპარია.

ამ პარკში სულ ოცოცედი წლის წინადა გაიყვანეს საბავშვო რკინიგზა. ორთქლმავალსაც ერთი პატარა ღია ვაგონი ება და სადგურიც ერთი იყო. არც ის შენობა იდგა ქვევით, რომელიც ახლა დგას. იქ პატარა რკინიგზებლები ორთქლ-



ნათა ბ. მუხამბისა

## მ გ ზ ა რ ე ბ ე ნ ი

მავლის, ლიანდავის, ვაგონის მოდლებს აცეთებენ და საქმეს უკეთ ეუფლებიან. საუკეთესო ოსტატებსა და მათ მოდლებს ზმირად გამოუყენაზე აგზავნიან.

აი, მოაკივლა ორთქლმავალმა სადგურს და ქოთქოთით შედგა რადიორეპროდუქტორში გაისმა ნორჩი დიქტორის ხმა: „მოეხადეთ, ამხანავო მგზავრებო, მატარებელი ხუთ წუთს გაჩერდება“.

ვაგონები ნელ-ნელა იცლება. ყველა იჩქარის დროზე ჩამოვიდეს და ადგილი დაუთმოს სხვა მგზავრებს.

შებეთ პატარა ვაგონსი ის არხინადა ზის ვაგონში. გვერდით დიდთავა, თმაგანეილი თოჯინა მოუსვამს. წითელყელსახვევიანი ბიჭი კი თავზე დასდგომა და რადაც არიგებს.

— როგორც ეტყობა, ეს ვაგონი ახლაც არ აპირებს ადგილიდან დაძვრას! — იცინის პატარა კონდუქტორი. — რა ვიცი, დღეს რამდენიმეჯერ

იმგზავრა და აღარ ეყო! — ჩილიაპარაკა გამკლებელმა და გოგონას ისე გადახედა, თითქოს ეუბნება: „რას ფიქრობ, ამაღამაც აქ ხომ არ აპირებ დარჩენასო“.

— წავიდეთ, ბილეთი ავიღოთ და ისევ მოვიდეთ. — ახლა ამ ხერხს მიმართა წითელყელსახვევიანმა ბიჭმა.

— განა ეს ბილეთი არ არის? — ამოიღო კაბის ჯიბიდან გოგონამ ბილეთი. გაისმა ზარის ხმა, მემანქანემ და მორიგემ კვერთხები გასცვალეს, სადაცა მატარებელი დაიძვრება და ხელახლა გაასერინებს აპირებულ ვაგონს, მის თმაგანეილ თოჯინას და წითელყელსახვევიან ბიჭს, რომელიც სალაროსაკენ ვარბის ბილეთის ასაღებად.

კეთილი მგზავრობა, ბავშვებო!





# ღათუნა სოფელი

ღათუნა პატარა ბიჭია. თვლები ცნობისმოყვარეობით უციმციმებს, თითქოს გვეითხებიან: „ეს რა არის? რატომ არის ასეთი? მერე რა იქნება?“ როდესაც გაიზრდება, მამასავით ისიც გეოლოგი გახდება, შემოივლის მთელ ქვეყანას, მაღალ მთებს მოინახულებს, მიწაში ქვანახშირს, მადანს დაუწყებს ძიებას.

ახლა ზაფხულია და ღათუნა სოფელში ატარებს დროს.

უპ! რამდენი საქმე აქვს მუდამ დღე მოსაგვარებელი... ჯერ ბებიას უნდა მიხედოს; თვალი უნდა ეჭიროს, საღ დაღებს ხოლმე ბებია სათვალეს და მიურბენინოს; აქეთ ძაფი უნდა აუგოს ნემსში; იქით პატარა სკამი მოუძებნოს და ფეხქვეშ დაუდგას.

აი, ღათუნა საოჯახო საქმეებს მორჩა და ეზოში ჩავიდა. იქ ვალიკო და ლიზიკო მიეგებნენ, მაგრამ ბიჭმა ჯიბეებში ჩაიწყო ხელები და გვერდით ჩაუარა. ზურგზე სამგზავრო ჩანთა მოუდღია; მართალია, ეს სულაც არ წააგავს იმ



უზარმაზარ ზურგჩანთას, მამამისი მთაში წასვლის დროს რომ მოიკიდებს ხოლმე, მაგრამ ღათუნას ამ ჩანთით თავი მაინც ნამდვილ გეოლოგად მოაქვს.

— გავწიოთ, ყურმა! — შეუძახა ღათუნამ და გაბურძენული ყურმაც კულის ქიჩინით აედევნა.

ღათუნა ატოდა გორაკზე და ყოველ ქვას, რომელიც კი გზაზე შემოხვდა, განსაკუთრებით დააკვირდა.

— აბა, ერთი ნახე, კარგია? — ეუბნება ყურმას და შავად დაწინწკლულ ქვას უწყვილს.

ეს ქვა იმ ქვებს წააგავს, რომელიც მამას კარადაში უწყვია. აი, ამისთანების საძებნად მიდის ხოლმე შორეულ მთებში მამა.

ყურმამ ქვა ყოველი მხრიდან დაყნოსა, თბილი ენა ბიჭს ლოყაზე აუსვა და კული მზიარულად აათამაშა. რაკი ყურმამ ნაპოვნი მიუწონა, ღათუნამ აიღო და პირდაპირ ჩანთაში ჩაუძახა. სულ მალე ჩანთა დამძიმდა.

ეზოში რომ დაბრუნდა, ვალიკო და ლიზიკო ისევ იქ დახვდნენ.

— აი, რამდენი ქვები მოგუნახე მამას! — უთხრა და, თითქოს ძალიან დილალო, კიბზე მძიმე-მძიმედ ავიდა.

— ისევ ქვები მოზიღე? — უკმაყოფილოდ უთხრა ბებიამ.

— ქვანახშირი აღმოვაჩინე! — მიახარა ბებიას, ჯიბიდან შავად დაწინწკლული ქვის ნატეხი ამოიღო და გაუწოდა.

— ყოჩაღ! — უთხრა ბებიამ, — მამას კარადაში შევინახავ.

სადილის შემდეგ ღათუნამ მთელი თვეში გაავსო ძვლებით. ზემოდან ძხვის ნაჭერი დაადო და ეზოში ჩავიდა. ყურმამ შორიდანვე შენიშნა და მზიარული წკმუტუნით მორთო.

ეზოში ლიზიკო და ვალიკო შემოვი-  
დნენ. ლიზიკოს კაბის კალთით რალაც  
მოჭონდა, ვალიკოს კი ჯიბეები გამო-  
ბეროდა.

— აი, ჩვენც ვიპოვნეთ!  
დათუნამ ლიზიკოს კალთაში ჩაიხე-  
და; გოგონას რიყის ქვებით ვავესო კალ-  
თა. დათუნამ ქვები გადაქექა. ერთი მო-



წითალო ქვა ამოირჩია, დანარჩენი კი  
გადაუყარა. გადაყრილ ქვებს ყურმა მხი-  
არული ყფით მისდევდა. მაგრამ ლიზი-  
კოს და ვალიკოს გულდაწყვეტილი სა-  
ხეები რომ დაინახა, დათუნამ ანუგეშა:

— აი, ამას მამაჩემის კარადაში შევი-  
ნახავ. ახლა ცოტა მოიცადეთ. — დაუ-  
მატა მან და ველოსიპედის მოსატანად  
სახლისაკენ გაქუსლა. ველოსიპედით  
ჯერ ვალიკომ ისეირნა. შემდეგ დათუ-  
ნამ ველოსიპედზე ლიზიკო შემოისვა და  
ფრთხილად დაუწყო ტარება ეზოში.

— ნუ გეშინია, ფეხით ატრიალე! —  
ჩაპყვიროდა დათუნა.

ლიზიკო საბრალოდ აქყეტდა თვა-

ლებს. და ვერ გადაეწყვიტა. დაედგა თუ  
არა ფეხი პედალზე.

უცებ ველოსიპედი ქვას წამოედო და  
ორივე ყირა-ყირა წამოვიდნენ. დათუ-  
ნამ ლიზიკო წამოაყენა, მუხლისთა-  
ვი დაწითლებული დაუნახა თუ არა,  
გაიქცა და პატარა ბოლოლი მოარბენინა.

— აბა, მაჩვენე, — უთხრა ლიზიკოს  
და ბოლოლიდან პირდაპირ ფეხზე დაასხა  
იოდ.

გოგონა ატირდა.

— არაფერია, ვაგივლის, შეხე, ამასაც  
სტიკია! — და დათუნამ დანარჩენი იოდით  
ვალიკოს მიაშხეფა ფეხებს.

ვალიკოსაც რომ დაუნახა იოდით და-  
წინწყლოლი ფეხები, ლიზიკომ მაშინვე  
შეწყვიტა ტირილი, დათუნამ კი კმაყო-  
ფილებით ამოიქმინა და იოდის ისევ ში-  
ნისაკენ გააქანა.

აი, დადგა საღამო. შებინდდა, სახლ-  
ში შუქი აანთეს. დედამ დათუნას დაუძახა.  
დათუნა სახლში ადის. ცხადია, მაშინვე  
ვერ დაწვევა, ჯერ ხელ-პირი უნდა დაი-  
ბანოს, მერე რძე დალიოს, უნდა თუ არ  
უნდა, მერე კი თავისი ქვები მიალაგოს,  
თორემ ბებია ჯიბეებს გადმოუქექავს და  
გადაუყარს.

აი, ლიზიკოს ნაპოვნი ქვა. არა,  
მართლაც ლამაზია, უთუოდ ძვირფასი,  
და მამას კარადაში დადების ღირსია.

— ბიჭო, ეგ აგურის ნატეხი რალად  
გინდა? მაგის მეტი რა ყრია ჩვენსა? —  
ეუბნება ბებია.

რაო, აგურის ნატეხია?! ეს როგორ მო-  
უვიდა გამოცდილ გეოლოგს? თუმცა ამ  
ქვას მამას მაინც აყენებს, შეიძლება  
მართლაც საჭირო ქვა არის. თუ არა  
და კიდევ სხვებს მოუგებინს. დათუნა ხომ  
ნამდვილი გეოლოგია!





# უქნარა შეიღულა

ახერბაიჯანული ზღაპარი

დიდი ხნის წინათ სეზოვრობ-  
და ერთი უქნარა შეიღულა.

შეიღულას ცოლ-შვილი  
სულ მშვიერი დადიოდა. ცო-  
ლი რომ უსაყვედურებდა,  
რატომ არ მუშაობო, შეიღულ-  
მა უპასუხებდა:

— ნუ დარდობ. მართალია.  
ახლა ღარიბები ვართ, მაგრამ  
მალე გავმდიდრდებით.

იცდიდნენ, იცდიდნენ, მაგრამ  
სიღარიბეს ბოლო არ უჩანდა.

შეიღულამ გადასწყვიტა, ბრძენთან წა-  
სულიყო და ეკითხა, როგორ დაეღწია  
თავი სიღარიბისათვის. აიკრა გულა-ნაბა-  
დი და გასწია.

გზაში ერთ გაძვალტყავებულ მგელს  
გადაეყარა.

— კეთილო კაცო! — შეეხვეწა მგელი, —  
მადლი მიყავი და ბარემ ჩემი გასაჭი-  
რიც უამბე: აი, უკვე სამი წელია, მუცე-  
ლი საშინლად მგვრემს.  
როგორ მოვიქცე, რომ  
ტკივილი დამიამდეს?

იარა, იარა შეიღულამ და  
გზისპირად ვაშლის ხე დაი-  
ნახა.

— საით გავიწვია, კე-  
თილო კაცო? — ჰკითხა ვაშ-  
ლის ხემ.



ნახატები მ. შოსნიშვილისა

— ბრძენთან მივემურები, მინდა გა-  
ვიგო, როგორ უნდა იცხოვროს კაცმა  
უშრომლად.

— გეთყუა, იმ ბრძენს სთხოვე, რამე  
მირჩიოს, — სთხოვა ვაშლის ხემ, — ყოველ  
გაზაფხულზე ყვევილებით გადავიპენტე-  
ბი, მაგრამ კოკრები მაშინვე მიქცნება  
და მცევივა. დამწიფებამდე ერთიც არა  
მჩრჩება.

ისევ იარა, იარა და ერთ ღრმა ტბას  
მიადგა.

წყლიდან უზარმაზარმა თევზმა ამოჰყო  
თავი და ჰკითხა:

— საით მივემურები, კეთილო ალა-  
მინაო?

— ბრძენთან მივიღივარ რჩევა-დარი-  
გებისათვის.

— ნუ დაიხარებ, ჩემი თხოვნაც გა-  
დაეცი: აი, მეშვიდე წელია, ყელში რა-  
ლაც გამეჩხირა. მირჩიოს, როგორ მოვი-  
ქცე, რომ კარგად გავხდე.

— კარგი, ვკითხავ. — უთხრა შეიღულამ  
და გზა განაგრძო.

ბოლოს შეიღულა ვარდის დაბურულ  
ბუჩქებს მიადგა. ერთი ბუჩქის ძირას  
თეთრწვერა ბერიკაცი დაინახა.

— რისთვის გარჯილობარ, შეი-  
დულა?—ჰკითხა მოზუტმა.

— საიდან იცი, რომ შეიდულა  
მქვია?—ვაოცდა შეიდულა.—  
ჩქნებ შენ ის ბრძენი ხარ, მე  
რომ დავეძებ?

— დიახ, — უპასუხა მოზუტ-  
მა,—მითხარი, რაც გინდა!  
შეიდულამ შესწივლა მო-  
ხუცს, რაც აწუხებდა.

— მეტი არაფერი გაქვს სა-  
კითხავი?—ჰკითხა ბოლოს  
ბრძენმა.

— როგორ არა, — უპასუხა  
შეიდულამ და მგლის, ვაშლის  
ხისა და დიდი თევზის სათხო-  
ვარიც მოახსენა.

— თევზს ყელში ძვირფასი  
ქვა აქვს გაჩხერილი. როდესაც  
ამ ქვას ამოუღებენ, მაშინვე  
მოკეთდება, — დაარიგა ბრძენ-  
მა, — ვაშლის ხის ფესვებთან  
უზარმაზარი ქოთანია ვერცხ-  
ლით სავსე. თუ ამ ქოთანს ამო-  
თხრიან, ხეს კვირტები აღარ  
დაუტკნება და ნაყოფსაც დაამწიფებს.  
მგელს კი უთხარი, პირველად რომელი  
უქნარაც შემოეყრება, ის გადაყლაპოს  
და ტკივილი დაუამდება.

— მე რაღას მეტყვი?—ჰკითხა შეი-  
დულამ.

— შენც ავიხდება ნატვრა, გასწი!  
გაუხარდა შეიდულას და შინისაკენ  
გაეშურა. იარა, იარა და ტბას მიუახ-  
ლოვდა.



— აბა, რა დაგაბარა ბრძენმა  
ჩემთან? —ჰკითხა თევზმა.

— თუ ყელიდან ძვირფას ქვას  
ამოგიღებენ, მაშინ მორჩები!—  
უპასუხა შეიდულამ და წასაყ-  
ლელად მიემზადა.

— კეთილო კაცო,—შევედ-  
რა თევზი, —ამომიდე ყელიდან  
ეს ქვა! მეც მომაცილებ სატკი-  
ვარს და შენც გამდიდრდები.

— ტყუილუბრალოდ რად  
უნდა გავისარჯო? ისედაც გავ-  
მდიდრდები. —მიუგო შეიდუ-  
ლამ და გზა განაგრძო.

შეიდულამ ვაშლის ხესაც  
ჩაუარა.

— რაო? გამიგე, როგორ მო-  
ვიშორო ჭირი? —ჰკითხა ვაშ-  
ლის ხემ.

— გავიგე, ფესვებში ვერცხ-  
ლით სავსე ქოთანი გქონია, თუ  
ამოთხრიან, ვაშლსაც მოიხ-  
ხამ.—უთხრა შეიდულამ.

— ბარემ შენ ამოთხა-  
რე ის ვერცხლით სავსე  
ქოთანი, შენც გახეი-  
რებს.—შეეხვეწა ვაშლის  
ხე.

შეიდულამ იგივე უპა-  
სუხა, რაც თევზს, და გზას  
გაუდგა.

იარა, იარა და გაძვალ-  
ტყავებულ მგელს შეე-  
ყარა.

— აბა, რას მეტყვი?—  
შეეკითხა მგელი, — რა  
გირჩია ბრძენმა?

— პირველად რომე-  
ლი ზარმაციც შეგეყრე-





ბა, ის ვადაყლაპე  
და მაშინვე მორ-  
ჩებო. — უთხრა  
შეიღულამ.

მგელმა შეიღუ-  
ლას გამოჰკითხა  
ყველაფერი, რაც  
კი გზაზე ენახა და  
გაეგონა.

შეიღულამ უამ-  
ბო ვაშლის ხისა  
და თევზის გასა-  
ქირი.

ამ შეიღულას-



თანა სულელსა და  
უქნარას, აბა, სად-  
ლა ენახავო,—გაი-  
ფიქრა მგელმა,  
როცა ყველაფერი  
მოისმინა, და შე-  
იღულას ეძგერა.

ციდანსამი ვაშ-  
ლი ჩამოეარდა:  
ერთი მთქმელს,  
ერთი გამგონს,  
ერთიც ყველა და-  
ნარჩენს.

თარგმანი ელ. გოგოლაშვილისა

6. ნარსია

ნახატი შრ. ჩირინაშვილისა

# ფეხბურთელი

თამაშობა გაუმართავთ  
ჩვენს ცანგალა ბიჭებს.  
თემო კარში დააუენეს,  
ბურთებს მარჯუედ იჭერს.

აგერ, ბურთი გაიტაცეს,  
კარისაკენ მიიქვთ,  
მაგრამ უცებ საიდანღაც  
გამოუსტათ ვია.

ასლა ვიას მიიქვს ბურთი,  
თავს რომ მუდამ იქებს,  
მაგრამ ფეხი ქვას წამოჰკრა  
და წაიქცა იქვე.

სირცხვილია, დაგცინებენ,  
კირჩევნია აღგე,  
ფეხბურთელი და ტირილი  
გაგონილა სადმე?!





## ზღვასა და მდინარეში

მეტად საინტერესოა თევზების ცხოვრება. ისინიც ზრუნავენ თავიანთი შეილებისთვის. მაგალითად, პატარა თევზი მასლიუკი ნაპირთან ახლოს ცარიელ ნივარებში ჰყრის ქვირითს. თუ ქვირითი მზეზე დარჩა, უნდა ნახოთ. ეს ააწყინა თევზი როგორ უვლის ქვირითს: პირით იღებს წყალს და ასხამს, რომ არ დაიღუპოს. ზღვაში ცხოვრობენ პატარა ვარდისფერი თევზები; იცით, რა ეშმაკი თევზებია! გაზაფხულზე, როცა ქვირითობის დრო დაუდგებათ, ერთ უზარმაზარ კიბორჩხალას აეკიდებიან, ჯავშანში შეუძვრებიან და იქ ჰყრიან ქვირითს. ახლა კი მტერი ვერაფერს დააკლებს და პატარა ვარდისფერი თევზები თავისუფლად დაიჩქებინან.


ევროპის, აზიისა და ამერიკის მდინარეებში ბინადრობს ერთგვარი გველთევზა; ის სხვა თევზებისაგან იმითაც განსხვავდება, რომ მას ხმელეთზე მოძრაობაც შეუძლია. როცა დაღამდება, გველთევზა ნაპირზე ამოდის და ნაშინ ბალახზე მისრიალებს. ასე გაივლის რამდენიმე კილომეტრს და სხვა მდინარეში შეცურდება. ერთი საოცარი თვისებაც გააჩნია გველთევზას: წყალს რომ დიდი მანძილით მოაშოროთ და ხმელეთზე დაადგოთ, უმაღლეს გასრიალდება ზღვის ან მდინარის მიმართულებით, თუნდაც ახლომახლო წყალს ვერა ხედავდეს.

დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერებმა არ იცოდნენ, სად ჰყრიდა ქვირითს ეს გველთევზა, სად მრავლდებოდა. გველთევზა ათო-თხუთმეტი, ზოგჯერ კი ოცდახუთი წლის განმავლობაში ცხოვრობს მდინარეში, მერე სტოვებს მდინარეს, შვიდი-რვა ათასი კილომეტრით შორდება ამ ადგილს და ატლანტის ოკეანეში დიდ სიღრმეზე ჰყრის ქვირითს და კვდება. ქვირითს წყალი გაიტაცებს და ხმელეთისაკენ მიაქვს. ასეთი მოგზაურობა სამ წლამდე გრძელდება; ქვირითი გზადაგზა იზრდება, თანდათან თევზის სახეს ღებულობს. პატარა გველთევზები მდინარეს რომ მიაღწევენ, შიგ შეცურდებიან, იზრდებიან და კარგა ხანს ცხოვრობენ იქ. მერე თავიანთი მშობლების მსგავსად თვითონაც მიეშურებიან ოკეანისაკენ, გასცურავენ დიდ მანძილს, იქ დაჰყრიან ქვირითს და უკან აღარ ბრუნდებიან.





ქოჯრის საბავშვო სახლების აღსაზრდელოა ნამუშევრები



„ფეხბურთელები“ ვლ. რობიაშვილის ნახატი  
(7 წლისა, № 1 სახლი)




„ბავშვები“  
შილა ჩერნოვას ნახატი  
(5 წლისა, № 1 სახლი)

„გოგონა“  
ჭაურ შერვაშიძის ნახატი  
(5 წლისა, № 1 სახლი)



„ია“  
ვენერა კაცაძის ნაქარტი  
(6 წლისა, № 1 სახლი)



„სახლ-კარი“ (ქლახტილინი); ჯ 2 სახლის ბავშვთა კოლექტიური ნაძერწი (5-7 წ.)

ყდის მხატვრობა გუთუნის ალ. ზანძელაძეს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეჯია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, შაყვალა შრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარტვიანი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაუფოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) გამომცემის ოცდამეცხრე წელი - 1956 წ. 2 მარტი.

Д И Л А - ежемесичный детский журнал ЦК АКСМ Грузии № 8, август 1956 г. Тбилиси. Печать. Плеханина 91. საბლიტბამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, კლდნაძის ქ. 91. ტელ. 3-37-38. გამოც. შუკ. № 435 სტამბის შუკ. № 76811657 ტირაჟი 15.000 უე 15221 ხელმოწერილია დასაბეზვად 19/VI-56 წ. ტექსტ აწუზილია პოლიგრაფიკულმა ინსტიტუტმა „კომუნისტს“ სტამბაში. ეწინაღ დამკვეთლია ლითონ-ფსტერ ფაბრიკაში

